სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ძველი ენები და ცივილიზაციები
Ancient Languages and Civilizations

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი/ ისტორიის მაგისტრი
MA in Philology/ MA in History

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:
სრული პროფესორი ლევან გორდეზიანი, სრული პროფესორი ირინე ტატიშვილი

პროგრამის ანალოგი:
წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ზუსტი ანალოგი არ არსებობს. ძველი ახლო აღმოსავლეთის და ხმელთაშუაზღვისპირეთის ენებისა და ცივილიზაციების შესწავლას ეძღვნება უამრავი პროგრამა სწავლების სამივე, მათ შორის, სამაგისტრო დონეზე მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, ხოლო ინტერდისციპლინარული სემინარი მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის კარგადაა ცნობილი გერმანიის უნივერსიტეტებში Graduiertenkolleg-ის სახელით.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება :
ა) პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ენებისა და ცივილიზაციის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით. სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები აღნიშნულ რეგიონებთან; ამ სამყაროს როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომებისა და ძველი ქართული კულტურის ფორმირების პროცესში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი დარგები - ასირიოლოგია (ფართო გაგებით), ეგვიპტოლოგია, მიკენოლოგია საკმაოდ იშვიათი და პრესტიჟული დარგებია, რომლებითაც მსოფლიოს მხოლოდ წამყვანი ქვეყნები და წამყვანი უნივერსიტეტები თუ დაიკვეხნიან. ქართულ უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1918-21 წლებში დაიწყო სიძველეთმცოდნეობის სხვადასხვა დარგების შესწავლა. უკანასკნელ ხანებამდე თსუ ცალკეული სტრუქტურული უჯრედები საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობდნენ ამ დარგებში. წარმოდგენილი პროგრამა არის ერთგვარი მცდელობა მათი ძალისხმევის გაერთიანებისა.

ბ) სწავლის შედეგები : სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას ძველ ენებსა და ცივილიზაციის ისტორიაში. მაგისტრს უნდა შეეძლოს: ძველი ენებიდან თარგმნა, თარგმნილი ტექსტისათვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება; კვლევა არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით; როგორც მისთვის საინტერესო ისტორიულ მონაკვეთში მიმდინარე ლიტერატურული და კულტურული პროცესების, ისე სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.

გ) დასაქმების სფეროები: უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი ძველ ენებში ან ძველ ისტორიაში, შეიძლება დასაქმებული იყოს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო). მას შეუძლია იმუშაოს:

- სასწავლო დაწესებულებებში (გარდა აკადემიური თანამდებობებისა),
- სახელმწიფო სტრუქტურებში,
- არქეოლოგიურ გათხრებზე,
- არქივებში,
- მუზეუმებში,
- ბიბლიოთეკებში,
- ტურისტულ ორგანიზაციებში,
- ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში,
- გამომცემლობებში.
- იყოს ექსპერტი ორიენტალური და მედიტერანული სიძველეების განხრით.
- მას უფლება ეძლევა, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- ჰუმანიტარულ ან საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
- სამაგისტრო პროგრამა არ მოითხოვს სამუშაო გამოცდილების ქონას, ანუ მიმდინარე წელს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულსაც აქვს ამ პროგრამაზე ჩაბარების უფლება.
- სტუდენტები აბარებენ ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდას. გარდა ამისა სტუდენტები გამოცდას აბარებენ სპეციალობაში (ძველი მსოფლიოს ისტორია).

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა - კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) შეადგენს 25%-ს, ხოლო სასწავლო _ 75%-ს (სამი სემესტრი სალექციო-სასემინარო - 90 კრედიტი), აქედან 20 კრედიტი სავალდებულო სემინარია, 30-60 - სავალდებულო-არჩევითი საგნები, 30-მდე – არჩევითი და 10 – სავალდებულო საუნივერსიტეტო ინგლისური.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა 2010–2011 წელი

#	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	კრედიტი
1	სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სემინარი[1]	სავალდებულო	20
	სავალდებულო-არჩევითი[2] და არჩევითი საგნები	არჩევითი	70
2	ძველი ენები (ეგვიპტური, შუმერული, აქადური, ხეთური, ბერძნული, ლათინური)	(სავალდებულო) -არჩევითი	10-40
3	ტექსტების ინტერპრეტაცია, ლიტერატურა	(სავალდებულო) -არჩევითი	10-20
4	ისტორია და არქეოლოგია	(სავალდებულო) -არჩევითი	10-20
5	არჩევითი კურსები (მაქს. 6 კურსი, ხელმძღვანელთან შეთანხმებით)[3]	არჩევითი	0-30
6	სამაგისტრო ნაშრომი		30
	სულ		120

შენიშვნები:

1. მოიცავს კურსს *სიძველეთმცოდნეობის შესავალი* (5), პროგრამაში მონაწილე და მოწვეული პროფესორების მოხსენებებს, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა პრეზენტაციებსა და დისკუსიებს.
2. სავალდებულო-არჩევითი საგნების თითოეული ბლოკიდან მაგისტრანტი ვალდებულია აიღოს სულ ცოტა 10 კრედიტი. ფილოლოგიაში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად (ასირიოლოგია/ძველაღმოსავლური ენები) სავალდებულოა სულ ცოტა 30 კრედიტი ენებში და სულ ცოტა 50 კრედიტი ფილოლოგიური პროფილის დისციპლინებში (ენები, ტექსტები, ლინგვისტიკა და სხვ. მომიჯნავე დარგებიდან თუ პროგრამებიდან) ისტორიაში ხარისხის მოსაპოვებლად სავალდებულოა სულ ცოტა 50 კრედიტი ისტორიული პროფილის დისციპლინებში (ამ და მომიჯნავე პროგრამებიდან). ორივე შემთხვევაში ინდივიდუალური პროგრამის შედგენისას და ხარისხის მინიჭებისას გათვალისწინებული იქნება ბაკალავრიატში მოსმენილი საგნები და შეძენილი კომპეტენციები.
3. მაგისტრანტს შეუძლია აირჩიოს საგანი სავალდებულო-არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან ან მომიჯნავე პროგრამებიდან ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი საგნების გადანაწილება სემესტრებად მოხდება მაგისტრანტების ინდივიდუალური პროგრამების დადგენისთანავე.

სავალდებულო-არჩევითი საგნები:

#	სასწავლო კურსის/მოდულის	ლექტორი	კრედიტების

	დასახელება		**საერთო რაოდენობა**
	ტექსტები:		
1	შუმერული იურიდიული და ლიტერატურული ტექსტები	პროფ. ჯ. შარაშენიძე	10
2	ხეთური რელიგიური ტექსტები	პროფ. ი. ტატიშვილი	10
3	ურარტული ტექსტები	პროფ. ლ. გორდეზიანი	5
4	ხეთური სამართლის ძეგლები	ფილოლ.დოქტ. ნ. ბენდუქიძე/ პროფ. ი. ტატიშვილი	5
5	ეგვიპტური ლიტერატურა	ისტ. დოქტ. მ. ხვედელიძე	5
6	ასურული ისტორიული ტექსტები (სარგონის წერილი ღვთაება აშურისადმი)	პროფ. ი. ტატიშვილი	10
7	ეგეოსური ტექსტები და მათი ინტერპრეტაცია	პროფ. ლ. გორდეზიანი, ფილოლ. დოქტ. ლ. ჩოთალიშვილი	5
8	აქადური ენის დიალექტები	პროფ. ი. ტატიშვილი	10
	ისტორია და არქეოლოგია:		
1	ეგვიპტის ისტორია	ისტ. დოქტ. მ. ხვედელიძე	5
2	ძველი ახლო აღმოსავლეთის ეთნიკური რუკა ძვ. წ. III-I ათასწლეულებში	პროფ. ნ. ხაზარაძე	5
3	იმპერია და პოლისი	პროფ. თ. თოდუა	5
4	ელინიზმის ისტორია	პროფ. თ. თოდუა	5
5	ანტიკური სამყარო ეპოქათა მიჯნაზე	პროფ. მ. მშვილდაძე	5
6	რომი და აღმოსავლეთი	პროფ. მ. მშვილდაძე	10
7	ეგეოსური სამყარო და ძველი აღმოსავლეთი	პროფ. ლ. გორდეზიანი	5
8	ტროა – არქეოლოგია, ისტორია, კულტურა	პროფ. ჯ. აფაქიძე	5
9	ეტრუსკული ცივილიზაცია	ფილოლ. დოქტ. ე. კობახიძე	5
10	არქეოლოგია – პერიოდისა და რეგიონის მიხედვით (არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან, ხელმძღვანელთან შეთანხმებით)		5-10

კვლევის კომპონენტები:

სასწავლო 75% სამეცნიერო-კვლევითი 25%

მაგისტრანტს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს მისთვის სასურველი საკვლევი თემა შემდეგი მიმართულებების ფარგლებში: ძველაღმოსავლური ენები და ცივილიზაციები,

მედიტერანული ენები და ცივილიზაციები, კავკასიური და წინააზიურ-მედიტერანული კულტურების კავშირ-ურთიერთობანი. აღნიშნული ძირითადი მიმართულებების ფარგლებში, შესაძლებელია მუშაობა ისტორიულ, ლინგვისტურ, კულტურულ-ანთროპოლოგიურ, სოციალურ და რელიგიურ პრობლემებზე.

სიძველეთმცოდნეობის სხვადასხვა მიმართულებით, რომლებიც ერთიანდებიან წარმოდგენილ პროგრამაში, ბოლო 5 წლის მანძილზე მრავალი სამაგისტრო ნაშრომი შესრულდა (სამწუხაროდ, ზუსტი სტატისტიკა ხელთ არ მაქვს). ხოლო ამ პროგრამით სწავლა დაასრულა და სამაგისტრო ნაშრომი წარმატებით დაიცვა ერთმა სტუდენტმა:

ნიკოლოზ ჯავახიძე, ხეთურ-ქართული რელიგიური პარალელები (2009)

სამაგისტრო ნაშრომში უნდა იყოს მცდელობა დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევის, მაგისტრანტი კარგად უნდა იცნობდეს დარგში გამოქვეყნებულ ლიტერატურას, აგრეთვე არტეფაქტების იდენტიფიკაციას მაღალ პროფესიულ დონეზე ახდენდეს. ნაშრომი უნდა იყოს გაფორმებული აკადემიური მოთხოვნების მიხედვით, და თავისთავად წარმოადგენდეს კონცეპტუალურ და შემოქმედებით კვლევას.

ნაშრომის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი პარამეტრები:
სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის, პრობლემატიკის აქტუალობა;
სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერული სიახლე როგორც ქართული, ისე დასავლური ჰუმანიტარული მეცნიერების კონტექსტში;
მაგისტრანტის ანალიტიკური აზროვნება და საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა;
სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგია – მაგისტრანტის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები რამდენად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს;
მაგისტრანტის ინფორმაციული მომზადების დონე – რამდენად იცნობს იგი როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურას და საკვლევი საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას;
სამაგისტრო ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა;
იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტი ეყრდნობა მის მიერ შესრულებულ თარგმანს, ფასდება მისი სიზუსტე და სტილისტური მხარე.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი კომპონენტები განხორციელდება ორ ძირითად ბაზაზე _ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტსა და მიხაკო წერეთლის სახელობის კაბინეტში (ყოფილ ასირიოლოგიის კათედრაზე), სადაც არის მდიდარი დარგობრივი ბიბლიოთეკები და სასწავლო-კვლევითი პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.
მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქართველ და უცხოელ კოლეგებთან ინტერდისციპლინარულ სემინარში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით. სამომავლოდ იგეგმება უცხოელი კოლეგებთან და საზღვარგარეთის წამყვან ცენტრებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, შესაძლოა, ერთობლივი სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამების მომზადება.

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა ჩატარდება ძველ მსოფლიოს ისტორიაში წერითი სახით და შეფასდება 100 ქულიანი სისტემით.

საგამოცდო საკითხები

1. ეგვიპტე პირამიდების ხანაში
2. ეხნატონის რეფორმები
3. შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები
4. აქადის დინასტია
5. ხამურაბის მმართველობა
6. ასურეთი
7. ხეთების სამეფო
8. ქადეშის ბრძოლა
9. ურარტუს სამეფო
10. სპარსეთის იმპერია
11. მიკენური საბერძნეთი
12. ბერძნული პოლისები
13. ბერძენ-სპარსელთა ომები
14. პელოპონესის ომი
15. ალექსადრეს იმპერია
16. ელინისტური სამყარო
17. რომის რესპუბლიკური წყობა
18. პუნიკური ომები
19. რომის იმპერიის შექმნა
20. პრინციპატი

ლიტერატურა:

- ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1988
- ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1990
- გ. ქავთარია, ძველი საბერძნეთი, თბ. 2005
- ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, თბ. 1958
- ალ. წერეთელი, ძველი რომი, თბ. 1961
- ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, თბ. 1994
- რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, I-II ტ. თბ. 1985, 1995